**სტუდენტური ოლიმპიადა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში**

**<u>ოლიმპიადის მიმდინარეობა:</u>**

**I ტური - გუნდური ტესტირება:**

დაინტერესებული გუნდები ჩააბარებენ ტესტურ გამოცდას საკონსტიტუციო სამართალწარმოების საკითხების გარშემო. დაჯამდება გუნდის წევრთა ქულა და ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლებას მიიღებს უმაღლესი ქულების მქონე პირველი 12 გუნდი. მონაწილე გუნდების რაოდენობიდან გამომდინარე, მეორე ტურში გამსვლელი გუნდების რაოდენობა შეიძლება შემცირდეს.

**ტესტის ჩასაბარებლად** სტუდენტმა უნდა მოამზადოს:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ;
3. საქართველოს კანონი საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ;
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი.

**II ტური - იმიტირებული სასამართლო პროცესი:**

მონაწილე გუნდები წილისყრით დანაწილდებიან მხარეებად და სასამართლო კოლეგიებად და შეეჯიბრებიან ერთმანეთს პირველ რაუნდში. მოპაექრე მხარეებს საქმის ფაბულა გადაეცემა პროცესის წინადღეს. მოსამართლეთა გუნდს გადაწყვეტილების დასაწერად ექნება დრო მეორე დღის 12 საათამდე.

**III ტური - ფინალი:**

ფინალში მონაწილეობას მიიღებს ორი გუნდი. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები დაესწრებიან და მოსამართლის როლში მიიღებენ მონაწილეობას ფინალურ ტურში.

**მეორე და მესამე ტურებში გუნდების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:**

- საკითხის ირგვლივ არსებული თეორიული ცოდნა - 30%
- როგორ არის მომზადებული სარჩელი, მოპასუხე მხარის პოზიცია და გადაწყვეტილება (ფორმალური მხარე) – 10%
- როგორ არის მომზადებული სარჩელი, მოპასუხე მხარის პოზიცია და გადაწყვეტილება (შინაარსობრივი მხარე) – 20%
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, პრობლემების გადაჭრა, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნება - 20%
- მოტივირებულობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, მიზანდასახულობა - 10%
- გუნდური მუშაობა, ორგანიზებულობა, პუნქტუალურობა - 10%

კონკურსს აფასებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისგან შემდგარი ჟიური.

**შედეგების გასაჩივრება:**

მონაწილე გუნდებს შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა ექნებათ ჟიურისთან, შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 2 დღისა.